წელიწადი მეორე | ფასი 10 კაპ. | კვირა, 30 ღვინობისთვე 1916 წ. № 242

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] რეზე პეტიტით ღირს [illegible] კნელზე—10 კ., [illegible] ლებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელირ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.


გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია

აცხადებს თავისს თანამშრომლის ისტორიკოს-არქეოლოგის

## თევდორე ჟორდანიას

გარდაცვალებას.

წირვა დაიწყება დღეს, 30 ღვინობისთვეს დილის 10 საათზე, ხოლო ანდერძის აგება 12 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

---

გიორგი თევდორეს ძე ჟორდანია ცოლშვილითა და და-ძმით გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ ძვირფასი მამის

## თევდორე დავითის ძის ჟორდანიას

უეცრივ გარდაცვალებას.

წირვა გადახდილ იქნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, დღეს, ოქტომბრის 30-ს, დილის ათ საათზე. ანდერძის აგება—12 ს. გამოსვენება პირველის ნახევარზე დიდუბის სასაფლაოზე. დაკრძალვა ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

---

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობა გულითადის მწუხარებით აცხადებს, რომ 22 ღვინობისთვეს გარდაიცვალა მისი საპატიო წევრი

## თევდორე ჟორდანია

წირვა დაიწყება 30 ღვინობისთვეს, დილის 10 საათ. ქვაშვეთის ეკლესიაში ანდერძის აგება—12 ს. გამოსვენება დიდუბის სასაფლაოზე ჯირველის ნახევარზე.

---

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, მისი თანამშრომელი

## თევდორე დავითის ძის ჟორდანიას

გარდაცვალებას.

წირვა და ანდერძი გადახდილ იქმნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დასაფლავება დიდუბეში.

---

საქართველოს ხაისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო ამით აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ დღეს ქართველთა მოღვაწეთა პანთეონში, დაკრძალავენ განსვენებულს ისტორიკოს-არქეოლოგს, საზოგადოების წევრს,

## თევდორე დავითის ძეს ჟორდანიას

დილის 10 საათიდან ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში განსვენებულს გადაუხდიან წირვას და აუგებენ წესსა. შემდეგ ცხედარს წაასვენებენ დიდუბის ეკლესიის გალავანში.

(1—380—1)

---

მადლიერნი ნამოწაფარნი გულდათუთქულნი აუწყებენ ქართველ საზოგადოებას თავიანთის დაუვიწყარ მასწავლებლის

## თევდორე ჟორდანიას

გარდაცვალებას.

სულის მოსახსენებელი წირვა და ანდერძის აგება დანიშნულია 30 ღვინობისთვეს. დასაფლავება დიდუბეში, ქართულ მოღვაწეთა პანთეონში.

---

თბილისის სასტუმროების, ავეჯით მორთულ ოთახების, რესტორანების და სხ. პატრონების ურთიერთ მომხმარებელი საზოგადოების გამგეობა აუწყებს წევრებს, რომ ჩვენი ისტორიკოსის და არქეოლოგ

## თევდორე დავითის ძე ჟორდანიას

დაკრძალვა დანიშნულია დღეს, წირვის შემდეგ, დიდუბეში. განსვენებულს ქვაშვეთის ეკლესიიდან 12 საათზე გამოასვენებენ წირვისა და ანდერძის აგების შემდეგ.

(1—379—1)

---

კვირას, 30 ღვინობისთვეს, გადახდილ იქმნება დიდუბის ღვთისმშობლ..ს ეკლესიაში ნახევარის წლის წირვა და პანაშვიდი

## ლადო დარჩიაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მისი დედა, ძმები, რძლები და ძმისწულები. პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე.

(2—უ—2)

---

გულდამწვარი მეუღლე კნ. ნინო ზაქარიას ასული შვილებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველის საყვარელ მეუღლისა და მეორეთა ძვირფას მამისა

## თ-დ ლუარსაბ (იოსებ) პაატის-ძე ნიჟარაძის

მოსახსენებლად გადახდილი იქნება დღეს, კვირას, 30 ღვინობისთვეს, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში.

წირვა დაიწყება 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი წირვის შემდეგ.

(1—377—1)

---


ქ. თბილისში დაარსდა

## მელნის ქარხანა „ალაროდია“

ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს, ალიზარინის ფერისას

პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.

ლაზარეთებს და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.

მელანი ასლის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.

დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება ადგილობრივ თუ გაგზავნით.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.

(თ.—228—თ.)


---

## ზარფუხის საზოგადო კლუბი

## გადავიდა საზამთრო შენობაში

(მიხეილის პროსპექტი, № 163)

(1—227—1)

---

## ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ რადგან კვირას, 30 ამა ღვინობისთვეს, დანიშნულია არხეოლოგ-ისტორიკოსის თევდორე დავითის ძე ჟორდანიას გვამის დაკრძალვა, ამისა გამო ამ დღისთვის დანიშნული ახალ კლუბის წევრთა

### საგანგებო კრება გადაიდო

ექვს გიორგობისთვისათვის, დილის 12 საათზე. კრება ჩაითვლება კანონიერათ, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. განსახილველია: მიმდინარე კითხვები და მუდმივ მოსიარულეთა არჩევანი.

(3—295—1)

---

## ახალი კლუბი

ერთი კვირის პროგრამა, 31 ღვინობისთვიდან 6 გიორგობისთვემდე.

**ორშაბათი**—ოპერეტი. ბილეთები 30 კაპ.—1 მანეთამდე.

**სამშაბათი**—კონცერტი სიმებიანი ორკესტრისა მ. ა. ვოლფ-იზრაელის ლოტბარობით.

**ოთხშაბათი**—სინემატოგრაფი.

**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ ბილეთები 50 კაპ.—30 კაპ.-დე.

**პარასკევი**—ოპერეტკა. ბილეთები 30 კაპ.—1 მანეთამდე.

**შაბათი**—კონცერტი სიმებ. ორკესტრისა მ. ა. ვოლფ-იზრაელის ლოტბარობით.

**კვირა**—დილით—ლექცია ბ. ივ. ვართაგავასი. საღამოს—რუსული წარმოდგენა ბილეთები 50 კაპ.—30 კ.-დე.

დასაწყისი: კონცერტებისა საღ. 9 საათზე.
„ წარმოდგენ. „ $8^1/_2$ საათზე.
„ სინემატოგრაფისა „ $8^1/_2$ საათზე.

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ ფასს: მამაკაცები 1 მან. მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმით) 50 კაპ.

(1—229—1)

---


## თბილისის განყოფილება ვოლგა-კამის საკომერციო ბანკისა.

ვოლგა-კამის საკომერციო ბანკის თბილისის განყოფილებას პატივი აქვს საზოგადოებას აუწყოს, რომ ამა წლის 1 გიორგობისთვიდან ბანკის განყოფილებაში

### გაიმართება ხელის მოწერა სახელმწიფო სამხედრო მოკლე ვადიან 5 ნახ. პროც. 1916 წ. მეორე სამხედრო სესხზე

სესხის ობლიგაციები გაიცემა 50, 100, 500, 1,000, 5,000, 10,000 და 25,000 მან. ღირებულებისა ნახევარწლიან კუპონებითა პირველ აპრილისა და პირველ ღვინობისთვის ვადებისათვის. ხელის მოწერის ფასად დანიშნულია 95% მიმდინარე % % მიმატებით ამა წლის პირველ ღვინობისთვიდან გამოსყიდვის დღემდე.

ხელის მომწერთ შეუძლიათ გამოისყიდონ ობლიგაციები 500-მდე სავსებით, ხოლო 500 მანეთს ზევით, თუ სურთ, შეუძლიათ ითხოვონ და ნაწილნაწილათ გამოისყიდონ, სახელდობ: 50% ხელისმოწერის დროს და 50% არა უგვიანეს 1917 წლის 31 იანვრისა.

მთლიანათ გამოსყიდულ სესხის ქაღალდს განყოფილება დაიგირავებს 85% ნომინალურ ღირებულებისას 85%-ად, თან აღებულ იქნება საშეღავათო % %.

(3—223—2)


---

## პიროვნების როლი

ნაპოლეონ პირველი დიდი სარდალიც იყო და გონება-მახვილი ადამიანიც. მოსწრებულად სთქვა: უმჯობესია ცხვრის ფარა, რომელსაც ლომები მეთაურობენ, ვიდრე ლომების ხროვა, რომელსაც ცხვრები მეთაურობენო. თვით ნაპოლეონის ომებმა და შემდეგმა დრომაც არა ერთხელ გაამართლა ეს სიტყვები. თუ ფრანგების მხედრობამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში აუსტერლიცსა, მარენგოსა და იენასთან მრავალრიცხოვანი მტრის ლაშქარი დაამარცხა და გაანიავა, ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ ფრანგების მხარეზე აღფრთოვანება და სიმტკიცე იყო, არამედ იმითაც, რომ მათ ნაპოლეონი წინამძღოლობდა. მან გადაატრიალა ძველი ფეოდალური ევროპის სამეფოები, რომელთაც მის უბადლო სტრატეგიულ ნიჭს ღირსეული ძალა ვერ დაუპირდაპირეს. მეცხრამეტე საუკუნეში საფრანგეთს დიდი მხედართმთავრები აღარ წარმოუშვა. ომის ღმერთმა თითქო ზურგი უჩვენა ამ ძველ რაინდულ ერს. 1870 წ. საფრანგეთ პრუსიის შეტაკებაში გამარჯვება ამ უკანასკნელს ერგო. ამის მიზეზი ბევრი მრავალგვარი მოვლენა იყო: ერთი უმთავრესთაგანი იმაში მდგომარეობდა, რომ ფრანგების ლაშქარს უფერული მაკმაჰონები და გამყიდველი ბაზენები მეთაურობდნენ, პრუსიელებისას კი გენიოსი მოლტკეები და ბისმარკები. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ოსმალეთსა და რუსეთს საუკეთესო ჯარისკაცი ჰყავს დედამიწის ზურგზე: მომთმენი, მორჩილი, თავდაუზოგავი. მაგრამ მეთაურების უნიჭობამ ოსმალეთი პლევნისა, ადრიანოპოლისა, ლულებურგასისა და კირკე-კილისის დამარცხებამდე მიიყვანა, რუსეთი კი ლაოიანისა, მუკდენისა და ცუსიმის კატასტროფამდე.

ბევრი რამ ადვილი მისაღწევია თანამედროვე სამხედრო ხელოვნებაში: ადვილად შეიძლება ჯარის კაცის სათანადოთ გაწრთვნაც, ადვილად შეიძლებე მისი შესაფერად აღჭურვაც. ტეხნიკა და ცოდნა საერთაშორისო საკუთრებად გახდა. ყველას შეუფერხებლად შეუძლია მისი გამოყენება, ვისაც ამისთვის ხალისი და ენერგია შესწევს. წყალქვეშა ნავებისა და ჰაეროპლანების ძირითადი პრინციპები ყველაზე ადრე ფრანგებმა აღმოაჩინეს და განავითარეს, მაგრამ დღეს ამ გამოგონებით უფრო მეტად გერმანელები სარგებლობენ. ჯავშნიანი დრედნოუტების სამშობლო ინგლისია, მაგრამ დღეს სხვა დიდ სახელმწიფოებსაც ჰყავს ეს ვეებერთელა, ფოლადის ხაოიანი ვეშაპები. ცოტა ხნის შემდეგ ალბად ადვილად წასაბაძი გახდება ის ზღაპრული აღმოჩენანი, რომლითაც გერმანელები მოწინააღმდეგეების გაოცებასა და გაბრუებას ლამობენ: მათი ცეპელინები, მათი ორმოცდაორ სანტიმეტრიანი ზარბაზნები, მათი მხრჩოლავი საბერველი.

მაგრამ არის ერთი რამ, რის სესხება შეუძლებელია ყოველ შემთხვევაში. ეს არის მაღალი ნიჭი, რითაც მხოლოდ არჩეული სულია დაჯილდოვებული. თანასწორ პირობებში კი საბოლოო გამარჯვება მაინც ნიჭზეა დამოკიდებული. თანამედროვე თაობა ვერ ხედავს, ან ნაკლებად სცნობს ამ ჭეშმარიტებას. მანქანები არაჩვეულებლივად გაიზარდნენ და გამრავლდნენ და თითქო ჩაჰრდილეს პიროვნება. ბუნებრივად შემუშავდა ყალბი წარმოდგენა მათ ურთიერთობაზე. მიიჩქმალა იმის შეგნება, რომ თვით მანქანებს ადამიანები ჰქმნიან, რომ ტეხნიკა არაფერს წარმოადგენს მაძიებელი, შემომქმედი და ცხოველმყოფელი სულის გარეშე.

ზოგიერთ ძველ ხალხს სწამდა, რომ თითქო ომი არ თავდებოდა ხილული და ხორც შესხმული ადამიანების შეტაკებით: დახოცილ გმირების სულები მედგარ ბრძოლას განაგრძობდნენ ჰაერსა თუ ეთეროვან სფეროებში. და უკან დარჩენილთ თითქო ესმოდათ მათი ყიჟინი და მათი ხრიალი. როგორც ყოველ ხალხურ რწმენას, ისე ამ შეხედულებასაც ერთგვარი ობიექტური საფუძველი აქვს. ომის ბედი მარტო ნივთიერ მასათა შეხლა-შემოხლით როდი სწყდება. ფიზიკურ ძალათა შეხვედრას თან ახლავს გონებრივ და ზნეობრივ ძალათა შეხვედრაც, ორივე შემთხვევაში კი ნაპერწკალია საჭირო, რომ ომის სამსხვერპლოში ღვთაებრივი ცეცხლი აინთოს. ამ ნაპერწკალს პირადი ნიჭი ჰქმნის.

ეს ნათელჰყო უკანასკნელი დროის მოვლენებმა. რასაკვირველია საომარმა ტეხნიკამ უმაგალითო გავლენა იქონია თანამედროვე მსოფლიო ომის მსვლელობაზე. აღმოჩნდა რომ ტეხნიკური უპირატესობა დიდს შანსს იძლევა საბოლოო ძლევა-მოსილობისთვის. ვისაც დღეს ხელში მეხი უჭირავს, მოსალოდნელია რომ ხვალ გამარჯვების დაფნის გვირგვინები ეჭირება. მაგრამ მეხის დასაჭერად ღონიერი ხელებია საჭირო. და მომავალი თაობა მხოლოდ იმათ ხსოვნას შეინარჩუნებს, ვინც განუმეორებელ და ძალოვან პიროვნებას წარმოადგენდა.

სამასი სპარტანელი დაიხოცა თერმოპილების ვიწროებში, მაგრამ ისტორიაში მხოლოდ ლეონიდეს სახელი დარჩა. დღესაც უსახელო გმირები ათასობით და ათი-ათასობით წვებიან ბრძოლის ველის გასაპოხიერებლად. მაგრამ ჩვენი შორეული მემკვიდრეებიც ალბათ იმ ორიოდე პიროვნების სახელს დაიხსოვნებენ, რომელთაც ჩვენი ფანტა-

ზია აამოძრავეს: ჰინდენბურგსა და კასტელნოს, მაკენზენსა და მანჟენს. მიუდგომელი მეცნიერული კვლევა-ძიება კი აღნიშნავს, რომ დიდი მსოფლიო ტრაგედიის მთავარი როლები ნიჭიერმა გმირებმა შეასრულეს და არა უსულო მანქანებმა ან უტყვმა სტატისტებმა.

ვ. ლელიანი.

## ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება

ქართველ ინტელიგენციაში რიცხვის მხრივ პირველი ადგილი ექიმებსა და ვექილებს უჭირავს. დღემდის სამწუხაროდ არც პირველთ და არც მეორეთ საჭიროდ არ დაუნახავთ დაეარსებინათ საკუთარი საზოგადოებები, რომელნიც დარაჯად დაუდგებოდნენ საპროფესიო ინტერესსა და ეთიკას და ამავე დროს აწარმოებდნენ შესაფერ სამეცნიერო მოღვაწეობას, როგორც ჩვენი წარსულის შესასწავლად, აგრეთვე ჩვენი აწმყოს საექიმო-სანიტარულ და იურიდიულ საჭიროებათა მოსაგვარებლად. ამ მხრივ, ქართველ ექიმებისა და ვექილების მთელი ერთი თაობის ცხოვრებამ უნაყოფოდ და ფუჭად ჩაიარა.

დღეს ჩვენი ცხოვრების საერთო გამოცოცხლებასთან ერთად, ილვიძებს მეცნიერული ხალისიც ჩვენი ქვეყნისა და ცხოვრების სხვა და სხვა დარგის შესასწავლად. ამ მხრივ ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების დაარსება მეტად მნიშვნელოვან და სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენი ქვეყანა ფრიად საინტერესო დ ფერად მასალას წარმოადგენს ბუნების მეცნიერებისათვის. ჩვენს სახალხო მედიცინასა და ექიმობაში შეხვდებით ისეთ რეცეპტებს და მკურნალობის ისეთ ნიმუშებს, რომელნიც ღრმა დაკვირვების შედეგებს წარმოადგენენ ზოგ და შემთხვევაში უფრო უებრონიც არიან, ვიდრე ის რეცეპტი და მკურნალობა, რომელსაც ოფიციალ სამეცნიერო მედიცინა იცნობს.

იმედი გვაქვს რომ ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება, რომლის დამფუძნებელი კრება დღეს უნდა მოხდეს, სავსებით გამოიყენებს, რაც რომ საყურადღებო დარჩენილა ჩვენს სახალხო მკურნალობაში, და მეცნიერულის სიყვარულით მოეპყრობა ჩვენი ქვეყნის საექიმო და სანიტარულ საჭიროებას და ამავე დროს იზრუნებს, რომ თავის დარგში შეგვიქმნას და მოგვცეს სამეცნიერო ლექსიკონი. სიამოვნებით ვეგებებით ამ ახალი საზოგადოების გამოსვლას სამოქმედო ასპარეზზე და ვუსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას.

მეგობარი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

აღმოსავლეთ ბრძოლის ველს ჩვენ ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით. ყველა იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენ ხელთ იყო, ვცდილობდით გაგვეთვალისწინებინა მკითხველებისათვის მოპირდაპირესაგან მოსალოდნელი განზრახვა. უკანასკნელ კვირეებში მათი მოქმედება, მოყოლებული კოველიდან რუმინეთამდის. იმდენად განსაკუთრებულ ტაქტიკურ ხასიათისაა, რომ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, თუ რა სწადიან გერმანეთს რუსეთის წინააღმდეგ. სხვა და სხვა ალაგას დრო გამოშვებით შეტევას საზოგადოთ სამხედრო ტაქტიკაში უფრო სამზვერავო ხასიათი აქვს. თუ გავიხსენებთ წარსულ კომპანიების დასაწყისს დავინახავთ, რომ გერმანელები მრავალჯერ უშედეგო იერიშები მოჰქონდათ, როგორც ვარშავის, ისე ივანგოროდის, ოსოვეცის დ სხვა მრავალ სიმაგრეების წინააღმდეგ. მათი იერიშები სულ მცირეოდენ ძალებით იყო ხოლმე დაწყებული და რუსეთის ჯარიც ძალიან ადვილად იგერიებდა. მოპირდაპირე ხშირად ჟიმნიანობდა, არ ეშვებოდა ამა თუ იალაგს და ყოველთვის განმეორებითი იერიშებს აწარმოებდა. სულ სხვა ამბები ხდება ახლა აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე. იქ სადაც კი გერმანელებმა მოკლე ხაზით იერიშები მიიტანეს, ყოველთვის აიძულეს, მართალია, სულ მცირე მანძილით, მაგრამ მაინც უკან დაეხევინებინა რუსეთის ჯარი. ეს მოხდა სვიტელნიკთან, მიჩოშუსთან, სლავანცასთან, ვლადიმირ-კოველის მიმართულებით და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებმა ხშირად ვერ შესძლეს დაპყრობილ ალაგების შენარჩუნება, მაინც საგულისხმოა მათი მოქმედება უფრო იმით, რომ ყველა ამ ალაგებში მათი ჯარი რიცხვით ყოველთვის სჭარბობდა რუსეთისას. ბრძოლის ხაზი ძალიან გრძელია. ამოდენა მანძილს დიდძალი ჯარი სჭირია დასაფარავად და გასამაგრებლად. რითი უნდა აიხსნას გერმანელების ასეთი მოქმედება. რა სურდათ, მაგალითად, გუშინ, როდესაც 7-ჯერ გაშმაგებული იერიში მიიტანეს სკრობოვოს მიდამოებში რუსის ჯარზე და აიძულეს უკან დაეხევინებინა. 7-ს ჯერ გაშმაგებული იერიშით შეტევას მარტო მზვერავი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. გარდა ამისა ასეთივე იერიშებით წამოსულან დორნა-ვარტას სამხრეთით და არც რუსებს დაუტოვებიათ რამდენიმე სიმაღლე. სამაგიეროდ ცისმენიცაზე, სტანისლავოვას სამხრეთით, რუსები ერეკებიან ავსტრიელებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუმინეთის ასპარეზის მდგომარეობა უთუოდ აიძულებს გერმანელებს გალიციაში ოპერაცია დაიწყონ. ყოველივე ის, რაც ხდება გერმანელების მხრივ აღმოსავლეთის ბრძოლის ველზე, მხოლოდ ერთი განზრახვით: შეიყვანოს შეცდომაში რუსეთის სამხედრო შტაბი და არ მისცეს საშუალება თვითონვე ახლავე შეუდგეს საპასუხო ოპერაციის წარმოებას. მართლაც, ძნელია დანამდვილებით გაიგო, თუ სად, რომელ მიმართულებით ჰფიქრობს მთავარ შეტევის დაწყებას მოპირდაპირე მაშინ, როდესაც მრავალ ალაგებში ჰხედავთ მათ საგრძნობელ ძალას. რაც გინდა იყოს რუსეთის მდგომარეობა გალიციაში იმდენად მტკიცე და შეურყეველია, რომ არავითარი განზრახვა მოპირდაპირესი საშიშო და სახიფათო არ იქნება.

რუმინეთის ასპარეზზე მდ. ბუზეოზე ავსტრიელები იერიშით წამოსულან და რუმინელები იძულებული გამხდარან ოთხი ვერსით უკან დაეხიენათ. ეს ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია და მასთანვე დამოკიდებულია დობრუჯში დაწყებულ ოპერაციასთან. როგორც დეპეშებით ვიცით, რუსებს და რუმინელებს გირსოვო აუღიათ და ეხლა ჩერნოვოდს მისდგომიან. ბუზეოთი ავსტრიელების წინსვლა ერთგვარი მუქარაა აქ მომქმედ ჯარისათვის. თუ მოპირდაპირე შესძლებს ოპერაციის გაღრმავებას, მაშინ დობრუჯი უსათუოდ უნდა გამოეყოს ბრძოლის ველიდან, ე. ი. მიატოვონ მოკავშირეებმა და დუნაის მარცხენა ნაპირზე გადავიდნენ.

X.

## ომის დეპეშები

29 ღვინობისთვე.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. სკრობოვოს მიდამოებში მოპირდაპირემ 7 იერიშის შემდეგ, მიუხედავად ჩვენი თავგანწირული ბრძოლისა, მაინც მოახერხა ჩვენი ბრძოლის ხაზის სანგრებში შემოჭრა; იძულებულნი გავხდით მეორე ხაზის სანგრებზე გადავსულიყავით. ამ იერიშების დროს მოპირდაპირემ ცეცხლის მტყორცნელები იხმარა. მდ. ბისტრიცას მიდამოებში, პაციკოვსა, ლისეცსა, სტარის და ბოგოროდჩანი სტარის სოფლების არე-მარეში ჩვენი მზვერავები მარჯვედ მოქმედებენ. დორნა-ვარტას სამხრეთ მიდამოებში, მდ. ბისტრიცას ველში, ხოლეროსა, ტოლიეესა და ბუტნიას სოფლებთან მოპირდაპირემ შემოტევა იწყო და ჩვენმიერ დაჭერილი რამდენიმე მაღლობი დაგვატოვებინა. ბრძოლა გრძელდება.

**კავკასიის ასპარეზი.** ქამადანის მიმართულებით, სოფ. კუსიჯანის მიდამოებში, ოსმალების შემოტევა შევაჩერეთ.

**რუმინეთი.** ტრანსილვანიის ასპარეზი. მდ. ტროტუშის ველში მტრის იერიში ზარბაზნების სროლით მოვიგერიეთ.

ბუზეოს ველის დასავლეთით მოპირდაპირემ შემოგვიტია და 4 ვერსით სამხრეთისაკენ დაგვწია.

პრედეალის მიმართულებით რუმინელებმა შეუტიეს მოპირდაპირის მარცხენა ფრთას. ბრძოლა გრძელდება.

კიმპოლუნგის მიმართულებით ნემოეშტთან მოპირდაპირის იერიში მოვიგერიეთ.

**დუნაის ასპარეზი.** ჩვენმა ცხენოსანმა და ქვეითა ჯარმა აიღეს დუნაისეუს სადგური, ჩერნოვოდის დასავლეთით 3 ვერსზე. ბრძოლა სწარმოებს ჩერნოვოდის ხიდის ხელში ჩასაგდებად. დაპყრობილ ადგილზე 200 მოკლული გვამი იყო. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და 1 ტყვიისმფრქვეველი. ავიღეთ ქალაქი გირსოვო და სოფ. მუსლაი, დელგერუს სამხრეთით 3 ვერსზე მდებარე სიმაღლე და სასიმჯანის სამხრეთ-დასავლეთით 5 ვერსზე მდებარე მაღლობები.

28 ღვინობისთვე.

**ათინა.** ფრანგებმა დაიპყრეს პატარა კუნძული პეროსი, სადაც იმყოფება სამხედრო მასალის საწყობი, თოფხანა და საბერძნეთის წყალქვეშა ნავების სადგური.

**ლონდონი.** საადმირალო იტყობინება: ხმელთაშუა ზღვაში 24 ღვინობისთვეს საფოსტო გემი „არაბია" წყალქვეშამ დაღუპა. 437 მგზავრი გადაარჩინეს. მეზღვაურებიც გადაარჩინეს 2 კაჩეგარის გარდა.

**ლონდონი.** კორდიფიდან მომავალი ნალმების მკრეფავი გემი „კიოტო" დაღუპვა. მეზღვაურნი გადაარჩინეს.

29 ღვინობისთვე.

**პარიზი.** დღის ოფიციალი ცნობა. 77 შეჯახება იყო საფრენებისა. მტრის 1 „ფოკერი" დავღუპეთ, 1 „რუმპლერი" იძულებული გავხადეთ ძირს დაშვებულიყო სენტ-ილერ-ლეგრანთან. ორი მფრინავი დავატყვევეთ მესამე საფრენი ძირს ჩამოვაგდეთ. მტრის 7 საფრენი გერმანელების მხარეს დაეშვა.

**ათინა.** თესალონიიდან ბერძენთა ჯარის გადაყვანა იწყეს.

**ბუქარესტი.** გენერალი დრაგალინუ, რომელმაც ჟიუსთან გერმანელები ლაამარცხა, ბრძოლის დროს მიღებულ ჭრილობისაგან გარდაიცვალა.

სენატორი სავეანუ რუსეთის შტაბთან რუმინეთის დელეგატად დაინიშნა.

## ქურნალ-გაზეთებიდან

**რუსეთის გემის „იმპერატრიცა მარია"-ს დაღუპვა.**

**პეტროგრადიდან.** მთავარ საზღვაო შტაბის ცნობა. 7 ღვინობისთვეს დილის მეშვიდე საათზე, სევასტოპოლის რეიდზე მდგარ გემს „იმპერატრიცა მარია"-ზე ცეცხლი გაჩნდა, აფეთქდა სასროლ მასალის საწყობი, მერე გემის შუა გულშიც იფეთქა. ცეცხლი გაძლიერდა და გემზე ნავთსაც მოედო. გემის გადასარჩენად ყოველივე ზომები მიიღეს ადმირალ კოლჩაკის ხელმძღვანელობით, მაგრამ გემი დილის 8 საათზე მთლად ჩაიძირა. ზედმყოფთა მცირე ნაწილმა მშვიდობიანათ მიაღწია ნაპირს. დაღუპილთა შორის მოხსენებულია 1 აფიცერი, 2 კონდუქტორი და 149 მეზღვაური. გადარჩენილთაგან მალე გარდაიცვალა 64 კაცი.

რადგანაც გემი ღრმა ადგილას არ არის ჩაძირული, იმედი აქვთ, რომ რამდენიმე თვის შემდეგ მაინც ამოიღონ და შეაკეთონ.

**პეტროგრადი.** გემ „იმპერატრიცა მარია"-ს დაღუპვის მიზეზებს საგანგებო კომისია იკვლევს.

აფეთქება დილის მეშვიდე საათზე მომხდარა. მაშინვე მისულა ადგილობრივ ვიცე ადმირალი კოლჩაკი. დიდი მეცადინეობა იყო საჭირო, რომ გემის სხვა ნაწილების აფეთქება შეეჩერებინათ, თორემ ირგვლივ მდგარი გემებიც შესაძლებელია აფეთქებულიყო და ქალაქიც საფრთხეში ჩაეგდო.

გემი 45 წუთის შემდეგ ჩაიძირა. გემის ამოღებას ის გარემოება აადვილებს, რომ თხელ წყალშია ჩაძირული და გემის ბაქანიდან ზღვის ზედაპირამდე მხოლოდ არშინ ნახევარია.

**შეერთებულ შტატების ახალი პრეზიდენტი**

დეპეშათა სააგენტომ ცნობა გადმოგვცა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვილსონის მაგიერ აირჩიეს რესპუბლიკანელთა კანდიდატი მოსამართლე იუზი. არჩევნების წინ ევროპაში გავრცელებული ყოფილა ხმა, ვითომც ვილსონი ამერიკის ქვეშევრდომ გერმანელებს დაემყარება არჩევნების დროს და პოლიტიკურ ნეიტრალობას განაგრძობსო, იუზი კი მისი აზრის სრულებით წინააღმდეგიაო. დემოკრატიის წინასწარ საარჩევნო კრებების დროს, ვილსონს განუცხადებია: ჩვენი მოწინააღმდეგენი (იგულისხმეთ იუზის მომხრენი) საგარეო პოლიტიკას გვიწუნებენ. თუ კი მართლა ჩვენი პოლიტიკა უვარგისია და ისინი კეთილსინდისიერი ხალხია, ეს პოლიტიკა არსებითად უნდა შესცვალონ. მაგრამ თუ საქმე შეცვლაზე მიდგება მხოლოდ ერთი გზაა მშვიდობიან პოლიტიკის დასაპირდაპირებლად — ეს გახლავთ ომი.

იუზს არჩევნების წინ ამერიკულ გაზეთ „უნიტედ პრეს"-ის თანამშრომლისათვის განუცხადებია—მე წინააღმდეგი ვარ ევროპის პოლიტიკაში ჩარევისაო. ინგლისიც ურიგოდ იქცევა საფოსტო ამანათების ზიდვაში და გერმანეთიც გასაკიცხია წყალქვეშა ნავების თარეშის გამო. ჩემი სურვილია, რომ შეერთებულმა შტატებმა თავის ნეიტრალობა შეინარჩუნოსო.

ამ საუბრიდანაც ცხადია, თუ რა პოლიტიკას აწარმოებს შეერთებულ შტატების ახალი პრეზიდენტი. და რაკი რესპუბლიკელთა უმრავლესობამ ის აირჩია პრეზიდენტად, აშკარავდება აგრეთვე შეერთებულ შტატების მკიდრთა გულის ნადებიც. (რ.)

**საბერძნეთი**

როგორც უკვე ვიცით ქალაქი კატერინი ვენიზელოსის მომხრეებმა დაიპყრეს. ათინიდან ეხლა იტყობინებიან: კატერინში რევოლიუციონერთა 750 ჯარის კაცია, სადგურს კი 250 სდარაჯობსო.

საბერძნეთის პრემიერ მინისტრმა განაცხადა: მოკავშირე სახელმწიფოთა კანტროლმა დასტური მოგვცა კატერინში 1650 მეომარი და 12 ზარბაზანი გავგზავნოთო. ეს ჯარი და ზარბაზნები უკვე დანიშნულს ადგილს მივიდნენ. ამგვარათ მთავრობის ჯარი რევოლიუციონერებისას გაცილებით აჭარბებს.

საბერძნეთის მთავრობა თურმე როდი ჩქარობს თესალონიიდან ჯარი პელეპონესში გადაიყვანოს, თუმცა მოკავშირეებს პირობა მისცა გადავიყვანოო.

ათინიდან იტყობინებიან: კატერინიდან 12 ვერსზე მთავრობისა და ვენიზელოსის ჯარი ერთმანეთს ებრძვის ლიტოხოსის სადგურის ხელში ჩასაგდებად.

ალიაკმანის ხიდთან შეჯახების დროს მთავრობის ჯარს მოუკლეს 5 კაცი და რამდენიმე დაუჭრეს. არ აცხადებენ, თუ ვენიზელოსის მომხრეთაგან რამდენია მსხვერპლი.

მონასტირის მიდამოებში გერმანელების ახალი პოლკები მისულა. კიდევ მოელიან მაშველ ჯარს.

ათინაში მისულა ბატონიშვილი ნიკოლოზი, ძმა მეფე კონსტანტინესი.

„რუსკ. სლოვო"-ს თანამშრომელი ივ. დნეპროვი ათინიდან იწერება: ათინაში მყოფმა ინგლისის დესპანმა ელიოტმა განაცხადა: ვენიზელოსის სამოქმედო გეგმა სრულიადაც არ არის რევოლიუციონური. ამის გამო უსაფუძვლოა, რომ საბერძნეთი ორად გაყოფილ ბანაკად ჩავთვალოთ და ორი მთავრობა ვაღიაროთ. ეხლა მოკავშირეთა მეცადინეობა იქითაა მიმართული, რომ როგორმე შევათანხმოთ მოკავშირე, საბერძნეთისა და დინასტიის ინტერესები. მეფე კონსტანტინესთან დარბაზობამ დამარწმუნა, რომ საქმე გამოკეთდება.

თვითონ დნეპროვი კი სულ სხვა აზრისაა. იგი სწერს: ათინის და სალონიკის მთავრობათა შორის დიდი პოლიტიკური ზღვარი და მტრობაა. მცირე რამის დათმობაც კი მოკავშირეთა მიერ, მათ გავლენას დაამცირებს და სალონიკის მოძრაობას სამარეს გაუთხრის. ჯერ კიდევ ბევრი საკითხებია მოსაწესრიგებელი და ნაადრევია იმისი თქმა, ვითომც საბერძნეთში მდგომარეობა საიმედო იყოს.

ინგლისის დესპანი ელიოტი მეფე კონსტანტინეს მთელ საათნახევარს ეთათბირა, რის შემდეგაც ლარისში მყოფმა მოკავშირეთა საკანტროლო კომისიამ საბერძნეთის მთავრობას დასტური მისცა: ეკატერინში 4 ბატალიონი გადაიყვანოს რევოლიუციონერებთან საბრძოლველად. მეფე კონსტანტინე და მისი თანამოაზრენი ნასიამოვნები არიან ასეთი დიპლომატიური გამარჯვებით.

„რუს. სლოვოს" ცნობით, რევოლიუციონერებს ბრძოლით აუღიათ სოფ. ლიტოხორი, კოლინდრო და ქალ. კატერინი, რომლის მეციხოვნე ჯარი (170 კაცი) პოლკოვნიკ მიტასის ხელმძღვანელობით მახლობელ მაღლობებზე გამაგრებულა. ლარისსა და ეკატერინას შორის რკინის გზის მიმოსვლა შესწყდა.

ათინიდან იტყობინებიან: მეფე კონსტანტინემ გადაჭრილი უარი განუცხადა მოკავშირეებს თესალონიიდან პელეპონესში ჯარის გადაყვანაზე და ეკატერინის -მბები მოიმიზეზა. მოკავშირეთა დესპანებმა გაახსენეს, ასეთი უარის თქმა მოკავშირეთა მთავრობაზე კარგ შთაბეჭდილებას არ მოახდენსო. მეფემ უპასუხა: დღევანდელს პირობებში თესალონიიდან პელოპონესში ჯარის გადაყვანა ძველ საბერძნეთში მეფის ღირსების დამცირებას უდრისო.

ამბობენ მესამე კორპუსს მეფე ლარისიდან ეკატერინში გადაიყვანსო. პირველი რაზმები უკვე გაისტუმრა ლიტოხორში. ეს კორპუსი ეკატერინის მიდამოებში დაბანაკდება, სალონიკიდან 40 ვერსზე.

მეფე კონსტანტინეს ლარისში ჰყავს მეოთხე კორპუსი, ხოლო ეპირში მეთექვსმეტე დივიზია.

საბერძნეთის მთავრობა თანდათან ნიღაბს იხდის.

## უკანასკნელი ცნობები

**პოლონეთის სამეფო**

**პოლონელთა პარტიების წარმომადგენელნი შუამდგომლობენ ავსტრია-გერმანეთის წინაშე, ახლავე დანიშნონ პოლონეთის დროებით მმართველი, რეგენტი, აგრეთვე დაარსდეს სახელმწიფო საბჭო პოლონეთის კონსტიტუციის შესადგენათ და სამხედრო დეპარტამენტი საკუთარ ჯარის მოსაწყობათ.**

**პოლონეთი და ლიტვა**

**„ნოვ. ვრ." აზრით, გერმანეთი შეუერთებს პოლონეთის სამეფოს ლიტვას და ბელორუსიასაც და იქაც ჯარს შეჰკრებს რუსეთთან საბრძოლველად.**

**პოლონეთის მომავალი მეფე**

**უცხოეთში მოელიან, რომ პოლონეთის მეფედ აკურთხებენ ავსტრიის ტახტის ერთ-ერთ მემკვიდრეს, სახელდობრ კარლოს-სტეფანეს; ამას წინათ კარლოს-სტეფანე იმპერატორმა ვილჰელმმა ინახულა.**

**აბისინიაში**

**აბისინიის მეფე ნეგუსი ტახტიდან ჩამოუგდიათ, რადგან მას მაჰმადიანობა მიუღია და გერმანელების მიკედლება მოუნდომნია.**

# ახალი ამბავი

**ქართული დაწესებულებანი.**

✦ **მ. ვ. მაჩაბელი სენატორ ჩაპლინთან.** გუშინ, 29 ღვინობისთვეს, იუსტიციის მინისტრის ამხანაგს და წევრს მათ უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულის კომიტეტისას წარუდგა ქ. საქვ. საზ. გამგეობის თავმჯდომარე ბ. მიხ. ვახტ. მაჩაბელი და საზოგადოების მდგომარეობას ვრცლად გააცნო სენატორი.

✦ **დღეს,** 30 ღვინობისთვეს, საღამოს რვა საათზე, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში (ბელინსკის ქუჩა, 2) გაიმართება ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების დამფუძნებელი კრება. სხდომის პროგრამა: I) სამეცნიერო განყოფილება: ა) საპროგრამო სიტყვა,—ექ. ვ. დ. ღამბაშიძე, ბ) სიკვდილი და სიცოცხლე ისტორიულისა და ბუნებრივის თვალსაზრისით,—ექ. ივ. სპ. ელიაშვილი. II) ადმინისტრატიული განყოფილება: საზოგადოების ბიუროს არჩევა. სხდომის სამეცნიერო განყოფილებაზე დასწრება გარეშე პირთაც შეუძლიანთ. საზოგადოების წევრად ჩაწერა მსურველთ შეუძლიანთ მელიქიშვილის სამკურნალოში, ქსნიის ქუჩა, № 9, ექიმ ნ.მ. მელიქიშვილთან.

**მთავრობის დაწესებულებანი**

✦ **მომხმარებელი ამხ.** გორის მაზრის სოფ. მერეთის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს თბ. გუბერნატორის წინაშე ამ სოფელში მომხმარებელ ამხანაგობის დაარსების შესახებ „მერეთის" სახელით.

**ქალაქის დაწესებულებანი.**

✦ **ქალაქის ცენტრ. ფურნის მოქმედების** ანგარიშიდან სჩანს, რომ ფურნეს 15 ენკენისთვიდან ვიდრე 15 ღვინობისთვემდე გამოუცხვია 1807 ტომარა ფქვილი 37037 მ. 40 კ. ღირებული. გაუყიდია პური და სუხარი 48092 მ. 68 კ. წმინდა მოგება დარჩენია ფურნეს ამ დროს განმავლობაში 2224 მ. 13 კ.

✦ **ქალაქის დუქნებს** 7 თვის განმავლობაში დღიდან არსებობისა დაუკმაყოფილებია შაქრით, პურით, კარტოფილით და მარილით 1,249,893 მუშტარი, რაც მუშტარს წაუღია სულ 830,770 მან. 8 კ. ღირებულა ეს საქონელი.

✦ **ბარათი შაქარზე.** 1 გიორგობისთვიდან შაქარი ბარათებით მიეცემა ქალაქის დუქნებიდან და კოოპერატივებიდან. ბარათი 3 თვის ვადით ეძლევათ, ე. ი. 1917 წლის 1 იანვრამდე. ბარათი 6 სულზეა განსაზღვრული. ბარათში უნდა ეწეროს ბარათის პატრონის და მისი მამის სახელი და გვარი.

**სხვა და სხვა ამბები.**

✦ **„ახალ კლუბის"** მამასახლისთა საბჭომ დაუთმო თეატრის დარბაზი, კვირა უქმე დილაობით მსახიობ ზარდალიშვილს ქართულ წარმოდგენების მოსაწყობად.

✦ **ხარფუხის საზოგადო კლუბი** გადავიდა საზამთრო შენობაში (მიხეილის პროსპექტი № 163), კლუბი კარგი მოწყობილია. მამასახლისთა საბჭომ დაადგინა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება გონებრივ გასართობებს. ქართულ წარმოდგენებს გამართავს ქართული დრამატიული საზოგ. დასი; რეპერტუარი უკვე შედგენილია.

✦ **მატარებლის მსხვერპლი.** თბ. თოფხანის გასწვრივ რკინის გზის 244 ვერსზე უცნობი კაცი ლიანდაგზე გადასვლის დროს საქონლის მატარებელს ქვეშ მოჰყვა. მატარებელმა ფეხები მოჰკვეთა და თავი გაუტეხა. გონ-დაკარგული სამხედრო ჰოსპიტალში წაიყვანეს, სადაც ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

✦ **ქურდობა.** უცნობ პირებმა გატეხეს მურავიოვის ქუჩაზე ა. ა. ფედოსოვის ბინა და 800 მანეთის ნივთეულობა წაიღეს.

— ტამოჟნის ქუჩაზე მ. შაინოვის დუქანში ვითომ სავაჭროთ ორი უცნობი პირი შევიდა, წააქციეს შაინოვი, ამოაცალეს 180 მანეთი და მიიმალნენ.

✦ **მტკვრის ტოტის ამოვსება.** 27 ამა თვეს, თბილისის გუბერნატორის თავჯდომარეობით კრება შესდგა, რომელსაც დაესწრნენ ქალაქის მოურავი, გამგეობის წევრები და სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი, განსაკუთრებით ინჟენრები და ტეხნიკები. განსახილველი იყო საკითხი შესახებ მტკვრის მარცხენა ტოტის ამოვსებისა. ამ საგნის თაობაზე დიდი ხანია ლაპარაკობენ და რამდენისამე კვირის წინად საგანგებო კომისიას მიენდო საგნის გამორკვევა. კომისიას თავისი მუშაობა უკვე დაუმთავრებია, და ეხლა კომისიის სახელით მოხსენება წაიკითხა კავკასიის გზათა ოლქის უფროსმა ინჟენერმა კონსტანტინოვმა. მოხსენების შემდგენელთა გამოკვლევით, მტკვრის მარცხენა ტოტის ამოვსება არავითარ ზიანს არ მოუტანს არც მადათოვის კუნძულს და არც რიყეს. მხოლოდ საჭიროა გამაგრდეს აღნიშნულ კუნძულის ნაპირები და აგრეთვე გაგანიერდეს მტკვრის ვიწრო კალაპოტი ავლაბრის ხიდთან 25 საჟენის სიგრძეზე. მოხსენება ყველამ მოიწონა. ტეხნიკურის მხრივ ეს საკითხი სავსებით გამორკვეულად მიიჩნიეს. რაც შეეხება საქმის იურიდიულ და ფინანსიურ მხარეებს, ამის მოწესრიგება ქალაქის თვითმართველობის საქმეა და, როგორც ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა განაცხადა, ამის თაობაზე ქალაქის გამგეობა შესაფერს მოხსენებას დაამზადებს.

✦ **საქონლის ჭირი გურიაში.** გუშინ გურულთა დეპუტაცია: გრიგორ ორაგველიძე, დომ. მენაღარაშვილი და ძმ. ნიკ. და პეტ. ურუშაძენი საქონლის ექ. ბ. ავთ. კვიტაშვილის კარისკაცობით და ხელმძღვანელობით წარუდგა კავკასიის ბეითალთა მმართველს და სთხოვა გურიაში გავრცელებულ საქონლის ჭირის საწინააღმდეგო ზომების მიღება. მმართველმა დეპუტაციას განუცხადა, რომ ზარუბათის ბაქტეროლოგიურ სადგურიდან (განჯის გუბერნიაში), საცა მთელი კავკასიისათვის მზადდება ასაცრელი ჩირქი (ბარატი) 24 ამ თვეს ქუთაისში მთელი გუბერნიისათვის გაიგზავნა რამოდენიმე ათი-ათასი გრამი ჩირქი და მასთან ერთად ბაქოს რაიონიდან ქუთ. გუბ. იგზავნება დამხმარე სამი ბეითალი. ამასთანავე განაცხადეს, რომ თუ საკმარისი არ იქნება საჭირო ჩირქს კიდევ მიაწოდებს სადგური და ყოველივე ზომა იქნება მიღებული ჭირის ჩასაქრობათ. ამით კმაყოფილი დეპუტაციის წევრები დაუყოვნებლივ გაეშურნენ ქუთაისში, რომ იქ ადგილობრივ ეცადნენ საქმის დაჩქარება.

✦ **საკვებ კომისიის წევრებად** კოოპერატიულ დაწესებულებათა მხრივ არჩეულ ქნენ ვ. ი. როხლინი, ნ. ზ. ელიავა და ს. დ. კახელაძე.

✦ **სენატორი ჩაპლინი.** თბ. მიწის მზომელთა სასწავლებელში იყო და გაკვეთილებზე დაესწრო.

**სომეხთა შორის.**

✦ **სომეხთა ცენტრალ კომიტეტს** მოუვიდა ფოთიდან 10 ვაგონი ფქვილი და 3 ვაგონი ფხვნილი შაქარი. გარდა ამისა კომიტეტს შეუძენია: ფოთში 10 ვაგ. ხორბალი და 21 ვაგონი ფქვილი და დონის როსტოვში 45 ვაგონი ფქვილი.

**მარტყოფი.**

**თავდასხმა.** სხვა გაზეთებში შეცდომით იყო მოხსენებული, მღ. ეპიტაშვილის თავდასხმის შემდეგ იმავ პირებმა კოოპერატიული მაღაზია გაქურდესო. ეს ცნობა ყალბია. თავდამცემლებმა კოოპერატიული მაღაზია კი არა, კერძო მაღაზია, რომელსაც თვით მღ. ეპიტაშვილი აწარმოებდა, გაქურდეს.

**გ ო რ ი.**

**დაჭრა.** ზემო ნიქოზში ზ. გვარამაძემ ჩხუბის დროს დასჭრა მუცელში ივ. ლომსაძე.

**გაუპატიურება.** ს. პარატისთან თ. კობაიძეს გოგო მწყსდა საქონელს. საიდანღაც გაჩნდა სტ. ციკლაური და ი. ბერიძის თანადასწრებით გააუპატიურა კობაიძეს გოგო.



† თევდორე დავითის ძე ჟორდანია.
დაიბადა 1854 წ. აპრილის 20, გარდაიცვალა 1916 წლის ღვინობისთვის 22).

# თ. ჟორდანიას უკანასკნელი დღენი

თედო ჟორდანია კარგა ხანია დაავადმყოფდა. დიდის შრომისაგან გამუდმებულ გონებრივ ვარჯიშობისაგან, დღისა და ღამის გასწორებისაგან და მრავალ უსიამოვნობისაგან თავის ტკივილი დასჩემდა, ისე რომ ხშირად ზედიზედ რამდენსამე დღეს ძლიერ იტანჯებოდა, კალამს ხელში ვეღარ იღებდა. განსაკუთრებით გაუძლიერდა ავადმყოფობა ბოლო წლებში, უკანასკნელ წელს ხომ ავადმყოფობამ სახიფათო ნიშნები მიიღო. წრეულს, გაზაფხულზე, ავადმყოფს მარცხენა თვალის ნერვის სიდამბლე დაემართა. ამის გამო თ. ჟ. თბილისში ჩამოვიდა და თავსა სწამლობდა ელექტრონით ექიმ მიხ. გედევანიშვილთან. წამლობამ კარგი ნაყოფი გამოიღო, ავადმყოფი მოკეთდა და საზაფხულოდ დასასვენებლად თავისს მამულში (გორის მაზრის სოფ. ზერშუეთში) გაემგზავრა, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ ავადმყოფობა კვლავ გაუძლიერდა და ახლა მეორე, მარჯვენა, თვალი მთლად დაუბნელდა. ავადმყოფი კვლავ ჩამოიყვანეს თბილისში. აქ მას კვლავ ექიმი მიხ. გედევანიშვილი სწამლობდა, დაახლოვებით ერთს თვეს. ავადმყოფი მთლად გამოკეთდა, თვალები გაუსაღდა, თავს მშვენივრად ჰგრძნობდა, აღარა აწუხებდა-რა, ხალისი და ენერგია ჭაბუკისებური დაუბრუნდა. ძალიან გახარებული იყო: ასე კარგად ჩემს დღეში არა ვყოფილვარ, ახლა-კი შევუდგები შრომას, საქართველოს ისტორიას დავწერო. ეს უკანასკნელი ხომ განსვენებულის მუდმივი სანატრელი ოცნება იყო. სულ იმასა ნატრობდა: ისე ნუ მომკლას ღმერთმა, რომ ჩემს ხანგრძლივს ნაშრომს თავი არ გამოვაბა, ისტორიის სისტემატიური კურსი არ დავწეროვო... ასეთ ოცნებით გატაცებულმა, საბოლაოდ გადასწყვიტა თბილისში დაბინავება და ბინის შოვნის ზრუნვას შეუდგა, მაგრამ ამაოდ: წრევანდელი ბინის უშოვრობის ამბავი ყველას ნათლად უდგას თვალ წინ... ბევრი უნაყოფო ცდის შემდეგ განსვენებულმა გადასწყვიტა გორიდან დროებით სოფ. კასპში გადმოსახლებულიყო, რათა თბილისზე უფრო ახლო ყოფილიყო და ნახევრად მაინც აქ ეცხოვრნა და იმუშავნა. თებერვლიდან ან მარტიდან კი საბოლოვოდ გადაწყვეტილი ჰქონდა თბილისში თავისის საკუთარის პატარა ბინის აგება და აქ დაბინავება.

თ. ჟორდანიას მახლობლები ერთხმად აღიარებენ, რომ არასოდეს არ უნახავთ განსვენებული ისეთს კარგს გუნებაზე, როგორც ამ უკანასკნელ დღეებში. მას ხშირად ნახავდით, მუდამ მხნესა და მხიარულს თბილისის სხვა და სხვა ადგილს. სცდილობდა სულ ხალხში ყოფილიყო, საზოგადოებაში გართულიყო. განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა განსვენებულზე ენკენისთვის 14-ს სახალხო სახლში გამართულმა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრებამ, საცა ქართველ ინტერესების წინაამდეგ გამოლაშქრებული „ცნობილი“ ბ ნი რჟევსკი „მაგრა გაამათრახეს“ ქართველებმა, როგორც ფიგურარულად ახასიათებდა ბ. რჟევსკის სასტიკს დამარცხებას განსვენებული. მისს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა: მადლობა ღმერთს, ვისწავლეთ ქართველებმა ჭკუა, შევიგნეთ ორგანიზაციის საჭიროება, შევეჩვიეთ დინჯს, წინ დახედულს მოქმედებასაო. ასე თუ წავიდა ჩვენი საქმე, ველარავინ დაგვჩაგრავს, ვეღარავინ მოგვერევაო...

ღვინობისთვის პირველ რიცხვებში თ. ჟორდანია თბილისიდან კასპს გაემგზავრა. აქაც თურმე იშვიათად კარგა ჰგრძნობდა თავსა, მუდამ ჩინებულს გუნებაზე იყო. უკანასკნელს დღესაც-კი, ღვინობისთვის 22-ს და თვით უკანასკნელ წუთებშიაც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს მხიარული, მუდამ მცინარი, გარეგნულად ჯან-ღონით სავსე ადამიანი სიკვდილს უკვე ნიშანში ჰყავნდა ამოღებული. 21-ს ღვინობისთვეს განსვენებულს ეწვივნენ ს. კასპში მისი შვილი კონსტანტინე (თბილისში სწავლობს) და პოზიციებიდან მოსული ნათლული იონა ავალიანი. ამან ძალიან ასიამოვნა მოხუცი, თურმე თითქმის მთელი ღამე ლაპარაკში გაატარა, ჩვეულებრივის გატაცებით მოუთხრობდა მსმენელთ სხვა და სხვა ისტორიულ ამბებს.

დილით, საბედისწერო დღეს, ადრე ამდგარა და გარედ გამოსულა. აქ თურმე კარგა ხანს ესაუბრა თავისს სახლის პატრონს თ-დს ალექსანდრე ამილახვარს. მთელი ლექცია წამიკითხაო—მოგვითხრობს უკანისკნელი—რაფიელ ერისთავის და განსაკუთრებით ა. ყაზბეგის შესახებაო“. თანაც უთქვამს, აი ახლა ვარ სწორედ ისეთს გუნებაზე, რომ საქართველოს ისტორიის წერას უნდა შევუდგე, ახლა მალე დაგიწერთ ისტორიასაო. განკარგულება მოუხდენია კიდეც, საწერი მაგიდა დამიდგით, საქმეს უნდა შევუდგეო. მაგიდა დაუდგავთ, ქაღალდები დაულაგებიათ, განსვენებული კი ამასობაში გარედ გამოსულა და სახლის წინ თურმე ბოლთასა სცემდა. ჩიბუხიც ამოუღია, ძირს დახრილა, ჩალა აუღია, რომ ჩიბუხის ტარი გამოეწმინდა, ჩალა ჩიბუხის ტარში ჩაურჭვია კიდეც, და სწორედ ამ დროს ჩიბუხი ხელიდან გავარდნია, მუხლები ჩაჰკეცია და ძირს დაცემულა...

ბევრს ეცადნენ მახლობელნი და იქვე მყოფნი რკინის გზის ფერშალი გ. ზაცარინი, რომ მომაკვდავი მოებრუნებინათ, მაგრამ ამაოდ: მან ვეღარ მოიხედა. ცოტა სიცოცხლე დასტყობია მიცვალებულს მაშინ, როცა ზიარება მიუღებინებიათ, მაგრამ მხოლოდ ერთს წუთს, შემდეგ-კი კვლავ უგრძნობლად იყო მანამ სულს განუტევებდა—წყნარად, უტანჯველად, სწორედ ისეთისავე მშვიდობიანის სახის გამომეტყველებით, როგორიც დღემდე შერჩენია კუბოში მწოლიარეს...

აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება, რომელიც ძალა-უნებურად ყურადღებას იქცევს და რომელზედაც თვით განსვენებულიც ხშირადა ლაპარაკობდა, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოდ არ იყო ცრუ-მორწმუნე კაცი.

განსვენებული გარდაიცვალა 22-ს, ესე იგი სწორედ იმ რიცხვში, რა რიცხვშიაც დახოცილან კველა მისნი მახლობელი ნათესავები: მეუღლე, მამა, ძმა, სიმამრი, უფროსი ვაჟი (პატარაობაში გარდაიცვალა), სიდედრ, ცოლის და... კერძოდ 22 ღვინობისთვეს შესრულდა სწორედ მეთექვსმეტე წლის თავი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა განსვენებულის მეუღლე ელენე დავით ტარხაიძის ასული (გარდაიცვალა 1900 წლის ღვინობისთვის 22-ს).

მახლობელი.

# თ. ჟორდანიას გარდაცვალების გამო

## სამძიმრის დეპეშები.

**მოსკოვი.** ქართველ ქალთა სათვისტომო ჰგლოვობს პატივცემულ ისტორიკოსის თევდორე ჟორდანიას გარდაცვალებას.

**ბაქო.** დიდს მწუხარებაში ჩაგვაგდო სამშობლო ისტორიის დაუშრალ მკვლევარის თევდორე ჟორდანიას სიკვდილმა.

**წ.-კ. საზოგადოების გამგეობა.**

**ოზურგეთი.** ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურობა თვისს ღრმა მწუხარებას აცხადებს სამშობლოს სიძველის დაუღალავ მკვლევარის თევდორე ჟორდანიას გარდაცვალების გამო.

თ.-აზნაურთა წინამძღოლი
**თ-დი ერისთავი.**

**თბილისი.** (კასპში განსვენებულის შვილის სახელზე გაგზავნილი). ყოფილნი თანამოსამსახურენი და მოწაფენი ძვირფას თევდორე ჟორდანიასი, მეორე საკომერციო სასწავლებლის კორპორაციის წევრნი, ფრიად დაგვლონა კაცთმოყვარე პედაგოგისა, იშვიათის ღირსებით შემკულ ადამიანის და წინაპართა მემკვიდრეობის ზედმიწევნით მცოდნის და მკვლევარის თევდორე ჟორდანიას სიკვდილმა და ვაცხადებთ ჩვენს სამძიმარს.

დირექტორი სასწავლებლისა
**ნიკ. ჭახათ ძე.**

**მარტვილი.** უზომო მწუხარებით ვსტირით სამშობლოსათვის დაუვიწყარ მუშაკის და ძვირფას მეგობრის თედო ჟორდანიას სიკვდილს.

**დეკანოზი გაწერელია.**

**ზუგდიდი.** უზომოდ დამალონა ჩემის სიყრმის მეგობრის თევდორე ჟორდანიას სიკვდილმა.

**იონა მეუნარგია.**

**ქუთაისი.** ქუთაისის ქართული გიმნაზია დიდათ სწუხს ჩვენის ქვეყნის წარსულის სწორუპოვარ მკვლევლის „ქრონიკების“ ავტორის თევდორე ჟორდანიას გარდაცვალებას.

**დირექტორი ი. ოცხელი.**

**გორი.** ქალაქის გამგეობამ პანაშვიდი გადაიხადა ქართველ ისტორიკოსის თევდორე ჟორდანიას სულის მოსახსენებლად, სამძიმარს უცხადებს ოჯახობას და დაადგინა გასვენებაზე დასასწრებლად გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი.

**ქალაქის მოურავი გრიგოლაშვილი.**

**თ. ჟორდანიას გასვენების გამო.**

თ. ჟორდანიას დამკრძალველმა კომიტეტმა შემდეგი წესრიგი შეიმუშავა მიცვალებულის გასვენებისა: სულის მოსახსენებელი წირვა დაიწყება ქვაშვეთის ეკკლესიაში დღეს, 30 ღვინობ., დილის 10 საათზე; ანდერძის აგება—12 საათზე. გამოსვენება ქვაშვეთიდან 1-ის ნახევარზე; სამგლოვიარო პროცესია ჩაივლის გიორგის ქუჩას, იქიდან გადავა ლორისმელიქოვის ქუჩაზე, ძველ სემინარიის შენობისაკენ; სემინარიის წინ გადახდილ იქმნება მცირე პანაშვიდი; იქიდან აუვლის პუშკინის სკვერს, გადავა სასახლის ქუჩაზე; წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების წინ გადახდილ იქმნება მცირე პანაშვიდი; სასახლის ქუჩიდან პროცესია გადავა გოლოვინის პროსპექტზე, ჩაივლის ვერის დაღმართს, გავა ვერის ხიდზე; იქიდან კირკის ქუჩით გადავა მიხეილის პროსპექტზე, მიხ. პროსპექტიდან გაივლის მუშტაიდს, დიდუბის ქუჩას და მივა დიდუბის ეკკლესიაში.

—

ქ. საქველმოქმედო საზ. გამგეობამ დაადგინა, თევდორე ჟორდანიას დაკრძალვის დღეს თავისი წარმომადგენელი გაგზავნოს და დამკრძალავ კომიტეტს 50 მანეთი გადაეცეს გვირგვინის ნაცვლად.

—

„ახალი კლუბი“-ს საბჭომ 100 მანეთი გადასდო თ. ჟორდანიას დამკრძალავ კომიტეტისათვის გადასაცემად და თავის წარმომადგენლებად ცხედრის დაკრძალვაზე დასასწრებლად აირჩია თავ. ი. რ. მაყაშვილი და ა. მ. ციმაკურიძე.

—

დღეს, 30 ღვინობისთვეს, ქვაშვეთის ეკლესიაში, განსვენებულის სულის მოსახსენებლათ სწირავს და ანდერძს გადაიხდის ყოვლად სამღვდელო ანტონი, ეპისკოპოსი გორისა, ტფილისის სამღვდელოების თანამსახურებით.

—

გუშინწინ, 28 ღვინობისთვეს, ქვაშვეთის ეკლესიაში განსვენებულის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადეს: ჩვენმა რედაქციამ, ნამოწაფარებმა და საქართველოს საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოებამ.

—

**თ. ჟორდანიას** დასაფლავების დღეს სადილის გამართვის მაგიერ მისმა შვილმა გ. თ. ჟორდანიამ 200 მანეთი შესწირა ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს.

—

თბილისის სასტუმროების ავეჯით მორთულ ოთახების, რესტორანების და სხვათა პატრონების ურთიერთ დამხმარებელის საზოგადოების მმართველობამ დაადგინა მთელის შემადგენლობით დაესწროს თევდორე დავითის ძის ჟორდანიას გამოსვენებას და დაკრძალვას.

# თევდორე ჟორდანია

## და

## მისი უმთავრესი ღვაწლი

თედოც დავკარგეთ! დავკარგეთ დიდი მცოდნე ჩვენი წარსულის ცხოვრებისა, ჩვენის ტანჯულის ქვეყნის თავგადასავლისა. დავკარგეთ არა მარტო მცოდნე, არამედ მკვლევარიცა: მკვლევარი ბეჯითი, გულ-მოდგინე, გატაცებული, თან ნიჭიერი, აღჭურვილი მეცნიერულის იარაღითა და ნაყოფიერი, ნაყოფიერი უაღრესად...

დავკარგეთ ისე, რომ ბევრმა დღესაც არ იცის რიგიანად, რა დიდი ამაგი დასდო თედომ ჩვენს საისტორიო მწერლობას, ჩვენს ისტორიოგრაფიას და მით ჩვენს ეროვნულს გათვითცნობიერებას... დავკარგეთ ისე, რომ არასოდეს და არაფრით არ გვიხსენებია, არაფრით პატივი არ გვი-

# ჩვენი ძველი წესები

## და

## მათი მნიშვნელობა*)

მეცხრამეტე საუკუნის კარზე გაუქმდა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება და ამ გარემოებას ზედ მოჰყვა ნელ-ნელი ნგრევა ქართველთა ეროვნებისა, შინაურ წყობილებათა, ადათებისა, ზნე-ჩვეულებათა, ეროვნულ და ეკლესიურ თავისებურებათა. ოჯახური წესებიც ჩვენის ეროვნებისა ერთის საუკუნის ზეგავლენით იმდენად შეიცვალა, რომ დღეს ძნელად გამოსაცნობი გახდა ახალის შორეულ წესებისაგან, წმინდა ქართულ ჩვეულებათაგან, უცხოური იმდენი შექსოვა ჩვენებურს, რომ ბევრგან ჩვენი ეროვნული დაიჩრდილა ან სულ წაიშალა და შეიბილწა.

„ვეფხის ტყაოსნის“ მაღალ იდეალების ქვეშ აღზრდილი ქართული ეროვნული „ტიპი“ მეცხრამეტე საუკუნეში შეეხეთქება „დუქნურს ტიპს“, რუსებისაგან თან გადმოტანილს ახალ იდეალებს ცხოვრებისას. რადგან რალაც გაუგებარ მიზეზისა გამო იმ დროს ყოვლისფერი, რასაც რუსეთის სახელი ეწერა, საქართველოში „მოდად იყო შემოღებული“ და პატივცემით მიღებული მაშინდელს ქართველ საზოგადოებისაგან, ამის გამო რუსთველის მაღალ კულტურამ, სამწუხაროდ, რამდენადმე ადგილი დაუთმო „სალდათურს დაბალს კულტურას“ ჩრდილოეთისას, ანუ, როგორც ზოგიერთებმა დაახასიათეს, „დუქნურს კულტურას“.

ამნაირად ნელნელა ფერი იცვალა და გადაგვარებისკენ პირი ქნა თვით იმ მაღალ ტიპმა ქართველობისაგან, რომელიც შექმნა საუკუნეთა ზედგავლენამ რუსთველის ქნარისაგან დასახულ გმირებისამ. ეს ტიპი საყვარელი შეიქნა აზიის და ევროპის ერებისა, რომელნიც რომელმანვე ისტორიულმა შემთხვევამ გააცნო საქართველოს. ეს ტიპი იყო ყოველგან ნაქები, ყველასაგან საყვარელი, მტრებისთვის შემზარავი, მეგობრისათვის თავდადებული, უშიშარი და თან გულკეთილი, თავისიანი და ჯენტლმენისებრ ზრდილი, „ჰაეროვანი“, გარეგნობითაც მშვენიერი და სანდომიანი.

დღეს ეს დიდებული ტიპი ქართველ ეროვნებისა იმდენად შერყეულია, რომ საკმაო შრომა და დაკვირვება დაგვჭირდება, რომ ქართულმა მეცნიერებამ სავსებით გამოარკვიოს ის, თუ რას წარმოადგენდა მეცხრამეტე საუკუნის ფართე ქართულ ისტორიისაგან შექმნილი სახე ეროვნებისა, იდეალური ტიპი ნაციონალურ თავისებურებისა ანუ „კაცურ-კაცობისა“.

ქართულმა ისტორიამ შექმნა თავისებური ურთი-ერთობა წოდებათა შორის, რომელსაც საფუძვლად ედო თავისუფალი სიყვარული, თავისიანობა, ნივთიერი და ზნეობრივი სარგებლობა, სამართლიანი ურთიერთობა. ეს იყო ესრედ წოდებული ქართული ბატონყმობა, რომლის მსგავსი და არც მომსგავსო კაცთმოყვარეობის მხრით არც ერთს ევროპის ერს არ ჰქონია. მეცხრამეტე საუკუნის კარში ეს წესწყობილება დაიმსხვრა და ახალმა მთავრობამ ძველ ქართულ ბატონყმობისაგან შექმნა სულ წინააღმდეგი წესი—„კრეპოსტნიკობა“, კრეპოსტნიკული დამოკიდებულება წოდებათა შორის, წინანდელი სიყვარული ბატონ-ყმათა შორის სიძულვილად აქცია, გლეხებს კაცური უფლება წაართვა, გლეხების უწინდელს მეხვაიშნეს და პატრონმეგობარს ახლა „საპალაჩო“ შოლტი ჩააბარეს და მისს სარჩო-საბადებელის მეურნედ დასვეს. დაინგრა ძველი წესი, ძალად შემოიჭრა ახალი უწესოება. გადავარდა საუკუნეთაგან ფუფუნებით აღზრდილი წესიერება, მამაპაპური კულტურა და მის მაგიერ ხალხის ცხოვრებაში გააპარპაშეს მონობა, შოლტი, „როზგები“.

ამ გარემოებამ კულტურულად გაზრდილი ხალხი საგრძნობელად დასცა. კრეპოსტნიკობის უღელმა გული გაუმქისრა გლეხს, გონება გაუბოროტა, გრძნობანი შეუმწიკვლა. მისს უწინდელს „კაცურ-კაცობას“ ბევრი რამ დააკლდა წოდებათა შორის რო სიძულვილი ჩაეთესა. ამან თან და თან გადააგვარა და დაკნინებისაკენ გადახარა უწინდელი სულიერი მისი არსება და ჩამოაყალიბა იმ ბევრ ნაკლულევანებიან ტიპებად, რომელთაგან ზოგი დასურათებულია ჩვენის მგოსნებისაგან და ზოგიც დღემდი დაუსურათებელი დარჩენილა ჩვენს მწერლობაში. რა თქმა უნდა, ეს საზარელი ხანა გლეხების გაკრეპოსტნიკებისა, ხანა ხალხის „ბუნტებისა“ და ცალცალკე შეტაკებათა (მაგ. არსენა, კონსტანტინე დადიშკელიანი, კაკო) აღუნიშნავს ხალხურს მგოსნობას. მაგრამ უუმრავლესი ამათაგანი შეკრებილი არა გვაქვს, დაწყობილი და გამოცნობილ-გამორკვეული.

☛ მეტსაც ვიტყვი: თანამედროვე ახალგაზრდობას და თვით ინტელიგენტებსაც იმდენად ნაკლებად ესმისთ ეს ხანა, რომ დღესაც საკმაოდ გაგებული არა აქვსთ, რომ **სხვა არის ქართული ბატონყმობა და სულ სხვა არის რუსული „კრეპოსტნიკობა“**, რომელიც სრული უარყოფა გახლავსთ კულტურისა და ქართულ ბატონყმობის დებულებათა.

**შენიშვნა:** მართალია ქართულ მეფეების დროს გლეხებს გარდა იყვნენ **მონები**, რომელთა მდგომარეობა მოგვაგონებს „კრეპოსტნიკებისას“. ესენი იყვნენ ტყვედ დარჩენილები (ლაშქრობის დროს), სხვისგან ნაყიდი ყმები, ან ის კაცები, რომელთაც თვითონ გაჰყიდეს თავისი თავისუფლება და სხ. მაგრამ ამ გვარის მონების რიცხვი ისე ცოტა იყო, რომ ცალკე წოდებად ვერ ჩაირიცხება. გარდა ამისა, თუმცა მონები იურიდიულად უუფლებო ხალხი იყვნენ, მაგრამ საქმით ესენი სარგებლობდენ შედარებით ფართე თავისუფლებით (მაგ. ერეკლე მეფემ აღკრძალა მონების გაყიდვა უმამულოთ) და „კრეპოსტნიკებთან“ შედარებით ამათი მდგომარეობა გაუმჯობესებული იყო.

რამდენადაც უფრო ჩვენ თანამედროვეთათვის გამოურკვეველია კულტურული მდგომარეობა ბატონყმინდელის ქართველების და უკულტურობა კრეპოსტნიკულ ხანასი, იმდენად უფრო ჩვენი კულტურის მოყვარულთა საზოგადოება მოვალეა შეკრიბოს ყოველნაირი ცნობები ქვემო ჩამოთვლილ კითხვებზე პასუხების დამზადებით, რომ შემდეგ თავობას ჩვენის კულტურის შესწავლა გავუადვილოთ და ქართველ ხალხს ძველთაგან შექმნილი თავისებური ცხოვრების იდეალები არ დაუკარგოთ, ისტორიისათვის მაინც.

—

არც ერთს დროს დედამიწაზე არ ჰქონია იმდენი სხვა და სხვა ფეროვანი ზნე-ჩვეულებანი, როგორც ქართველებს. ყველა ამ ჩვეულებათა ერთი მიზანი აქვთ—გაასხვადასხვაფერონ ცხოვრება ლხინში მხიარულებათა სხვა და სხვაობის გამრავლებით, ხოლო ჭირში მიზნად აქვთ მწუხარების გრძნობათა გაორკეც-გასამკეცება სხვა და სხვა საშუალებით (ზარი, მოთქმა, სამგლოვიარო ჩაცმა და მოქმედებანი), რომ ჭირისუფლები „გამოატირონ“: ქართველ კაცსა სწამს, რომ რამდენათ მეტს ცრემლს დააღვრევინებენ ჭირისუფლებს, იმდენათ მეტს ნუგეშს აძლევენ მას, რამდენათ მეტი მეგობარი „მიუტირებს“ მას, იმდენათ მეტ ნაწილათ დაიყოფა მისი მწუხარება; თითოეული „მიმტირებელი“ თითო წილს წაუღებს ჭირისუფლის მწუხარებისას და შეუმსუბუქებს მის სამგლოვიარო ტვირთს.

სასიხარულოა ესა თუ ის ჩვეულება თუ სამგლოვიარო, ორსავ შემთხვევაში მას ქართველ ხალხის ცხოვრებაში შემოაქვს ყოველ კულტურულ ხალხისათვის აუცილებლათ საჭირო გარემოება,—**სახალხო დროს გატარება:** ლხინში მშრომელი კაცი საზოგადოების ნახვით ახლდება ახალ შთაბეჭდილებათაგან, ფიზიკურათ და გონებრივათ იზრდება, ზნეობრივათ ფაქიზდება, პატრიოტდება, ჰმაღლდება, ეროვნდება, ქართველდება. სამგლოვიარო ჩვეულებაც ართობს მაშვრალ ხალხს, რადგან ცნობილია, რომ გართობა არ მდგომარეობს მარტო მხიარულებაში, არამედ ჩვეულებრივის მდგომარეობის გამოცვლაში კაცის სულის ამამაღლებელ შთაბეჭდილებით. მართალია, „ტირილი“ სევდა-მწუხარებიანია, მაგრამ „ტირილად“ მიმავალი თვისის შინაგანის სვინიდისის მიერ ქებულია, რომ ის მიდის მოძმის სანუგეშებლად, ე. ი. სიკვდილისგან დაჩაგრულთ გასამხნევებლად, ნუგეშინის საცემად, მკვდრის ვალის გადასახდელად, „გასაპატიოსნებლად“, სიყვარულის განსაახლებლად იმ მოყვარეებისა, რომელთაც დაუკარგავთ საერთო საყვარელი არსება. ტირილიდან დაბრუნებული იგი შინაურს კმაყოფილებას განიცდის, რომ მან არ უღალატა „კაცურ-კაცობას“ და შეასრულა თვისი მოვალეობა საზოგადოების წინ, რომ „ქვეყანას არ გამოვაკლდიო“, და თან თავისს თავს მოსვენებულად ჰგრძნობს, რომ იმდენი ხალხი ნახა, ბევრი გაიგონა, ბევრიც ახალი რამ იგრძნო და ახლა შეუძლია თავისს შრომას დაუბრუნდეს ახალის ენერგიით.

იმ ქვეყნებში, სადაც ამისთანა ჩვეულებათა ინსტიტუტი არ მოეძებნებათ, ხალხმა არ იცის სად გაატაროს დრო და ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ იქ მაშვრალი ხალხი ეძებს გასართობად დუქნებში ღვინო-არაყს, ამაებში ირჩობა. გართობა ისეთსავე საჭიროებას შეადგენს ყოველ კაცისას, როგორც საჭიროა პური მშიერისთვის, და ამიტომაც ასე ხდება, რომ ევროპის განათლებული ხალხებიც კი იძულებულნი არიან (რაკი ჩვეულებათა ინსტიტუტი ნაკლები აქვთ) დუქნებში და ყავახანებში ატარონ გასართობად გადადებული დრო უმსგავსო ლოთობაში მარტოდ-მარტო, უტოლ-ამხანაგოდ, თავისის ოჯახის გარედ—ველურულად.

ქართველ კაცს კი, საუკუნეთაგან, თან დაყოლილი ტრადიციით, სწამს დროს გატარება მარტო მაშინ, როცა მას ახლავან ტოლ-ამხანაგები: როცა გარშემო იგი ჰხედავს საზოგადოებას, ე. ი. მას დათვრობით კი არ უნდა დროს გატარება, არამედ უმთავრესად ტოლ-ამხანაგობის საზოგადოებით უნდა დატკბეს, ამათ დრო გაატარებინოს და მათთან თითონაც ისიამოვნოს. „მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო“, იტყვის ჩვენის ერის გენიოსობა და ამიტომ ქართველი კაცი, რაც უნდა მდიდარი იყოს, მხოლოდ იმ შემთხვევაში იჭრელებს სუფრა-ტაბაკებს ღვინო-სამელებ-საჭმელებით, თუ სტუმრები მოუვა, სხვა დროს ხშირად ღვინოსაც არ იგემებს, ხოლო სტუმრების გართობას ის სცდილობს არა გამადების სიმრავლით, არამედ „გამხიარულებით“, ე. ი. ფსიხოლოგიურის სიტკბოებით და არა მხოლოდ ფიზიკურ სიამოვნებით.

† თ. ჟორდანია.

(დასასრული იქნება)

*) შარშან ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა ქართულ ზნე-ჩვეულებათა და საერთოდ საქართველოს კულტურის თავისებურობათა სისტემატიურად შესასწავლად განსაკუთრებულ სექციის დაარსება. სექციის ხელმძღვანელობა სთხოვეს განსვენებულს თევდორე ჟორდანიას. უკანასკნელმა თანხმობა განაცხადა და შეუდგა კიდეც სექციის სამუშავო გეგმის შედგენას. სხვათა შორის, ამ მიზნით დასწერა ეს წერილიც. თუმცა უკანასკნელის დაბოლოვება და გაშალაშინება-გადათეთრება ვერ მოასწრო ავადმყოფობისა გამო, მაინც შავად დაწერილი წაიკითხა ქართ. კულტ. მოყვ. საზ-ის გამგეობის თხოვნით გამგეობის კრებაზე 1915 წ. დეკემბრის 2-ს. აქვე სთხოვეს, მოხსენება საჯარო კრებაზე განემეორებინა. განსვენებულმაც აღუთქვა მოხსენების გადაკეთება და საჯაროდ წაკითხვა, მაგრამ აღარ დასცალდა... ამ გვარად, ეს უკანასკნელი ნაწარმოებია განსვენებულისა.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცია; ტკბილი სიტყვაც-კი არ გაგვიმეტებია მის გულის მოსაგებად, გასამხნევებლად, აღსაფრთოვანებლად... პირ-იქით, მადლობის მაგიერ, ერა ერთხელ გაგვიგონებია საყვედური, მოგვიხსენებია უკადრისად, უკანასკნელად, დაგვიგმია, გვიდევნია...

უჯიათი ხალხი ვართ, ქედ-ფიცხელი, ვით ურიანი ძველად! წამს ცოტას ვჯერდებით, ცოტა ბევრად გვეჩვენება, ცოტაა საკმაო ჩვენის აღტაცებისათვის, აპილპილებისათვის; წამს ბევრიც ცოტაა, არა კმაყოფილი და სასწაულსა ვთხოულობთ, გმირობას, თავგანწირვას...

იყო დრო,—და არც ისე დიდი ხანია მას აქეთ,—როცა ჩვენს ბედ-იღბალზედ მთელს ჩვენს ქვეყანაში კაცი არ იყო ძველის მცოდნე, წარსულში ჩახედული, მის კვლევა-ძიებაში ჩაბმული. ერთად ერთი ნეტარ-ხსენებული დიმ. ბაქრაძე უძლოდა დიდს და რთულ საქმეს—ჩვენის მდიდარ წარსულის ცხოვრების კვლევა-ძიებისას, გამომზევებას. და აი, ამ თავ-გამოდებულს მკვლევარს და დიდს სპეციალისტს, ამ დიდს მოტრფიალეს წინაპართა ცხოვრების გაშუქებისას, ამოუდგა გვერდში ჩვენი თედო, მაშინ ჯერ ისევ ახალგაზრდა, ახლად უმაღლეს სასწავლებელში კურს-დამთავრებული და მას უკან დღემდე, დიაღ, დღემდე, უკანასკნელ სულის აღმოფშვენამდე არ შეწყვეტილა მისი დაუღალავი შრომა, ნაყოფიერი კვლევა-ძიება წარსულისა. ერთს საყურადღებო ნაშრომს მოსდევდა მეორე, მეორეს მესამე და ასე ამრიგად.

1880 წელს ჟურნალ „ივერიაში“ დაიბეჭდა მისი საუცხოვო ისტორიულ-ლიტერატურული მონოგრაფია „დავით გურამიშვილი და მისი დრო“, 1882 წელს—მეორე ფრიად საყურადღებო ისტორიული მონოგრაფია „მთავარ ეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართულის სტამბის საქმე მეთვრამეტე საუკუნეში“. ამას მოჰყვა რუსულად დაწერილი მკაფიო მონოგრაფია —„კათალიკოსი ანტონ I, მთავარ-ეპისკოპოსი ვლადიმირისა და იაროპოლკისა“; მერე (1889 წ. დაიბეჭდა მისი ქართული გრამატიკაცა, საცა დიდის ცოდნითა და შრომით განმარტებულია, სხვათა შორის, ძველის ქართულის ენის საგრამატიკო ნორმები. დაგვირგვინდა ეს ნაყოფიერი მუშაობა განსვენებულისა დიდის და ხანგრძლივის ნამუშავევით, რომელიც ორ დიდ ტომად არის დაბეჭდილი „ქრონიკების“ სახელით და დიდს მასალასაც შეიცავს წარსულის მკვლევართათვის.

ბევრ სხვა ნაშრომს განსვენებულისას და სხვათა შორის, სიონის საეკლესიო მუზეუმის კატალოგს ორ საკმაოდ მოზრდილ ტომად, ყოვლად-სამღვდელო კირიონის თხოვნითა და წარსაგებელით შესრულებულს თედოს მიერ, აღარ ვახსენებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ არა ერთხელ შეეხო ისტორიულის თვალ-საზრისით ჩვენის ცხოვრების ისეთს საჭირ-ბოროტო და მწვავე საგანს, როგორიც არის საქმე საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებელის არსებობისა ანუ ავტოკეფალია მისი და ეკონომიურ-სოციალური მდგომარეობა გლეხ-კაცობისა საქართველოში ამ ასი წლის წინად, მეფობის დროს. ვრცელი წერილი და ისტორიულად დასაბუთებული მისი აზრი და დასკვნა ამ საგნის შესახებ აღმოჩნდა, სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძის ქაღალდებში. სახელმწიფო საბჭოში წევრად ყოფნის დროს, როცა ხიზნებისა და საზოგადოდ ქართველ გლეხ-კაცობის ეკონომიურ მდგომარეობის განხილვა დაიწყება, იქნება ეს საბუთები და დასკვნანი გამოგადგეთო, სწერდა დიდის თავაზიანობით განსვენებული ჩვენს ბუმბერაზ მამულიშვილს.

სულ ამ ორიოდე წლის წინად განიმეორა განსვენებულმა თედომ ესევე აზრები და საბუთები გაზ. „ქართლში“, რომელიც გორში იბეჭდებოდა დავ. კარიჭაშვილის (შვილის) რედაქტორობით. განიმეორა მაშინ, როცა მიანდეს განხილვა ოდესის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტ ავალიანის საპრემიოდ წარმოდგენილ თხზულებისა: Крестьянскій вопросъ въ Грузіи.

განსვენებულს აუარებელი მასალა დარჩა მოგროვილი „ქრონიკების“ განსაგრძობად, კმა-საყოფელი მეორე და მეოთხე ტომისათვის, როგორც მწერდა ამ ორიოდე წლის წინად გორიდან კერძო წერილითა. სამწუხაროდ, ბეჭვდა მათი დაბრკოლებულია იმ მიზეზითა, რომ სალარი ამისი არსადა სჩანსო.

რაიცა შეეხება განსვენებულის დახასიათებას, როგორც საზოგადო მოღვაწისასა და მამულიშვილისას, ამისი საკმაოდ დიდი მასალა, შეკრებილი, თვით თედოს თხოვნით, ყოვლად უსამღვდელოესის დავითის მიერ, ცალკე ინახება ჩემთან და, ალბად, როცა დრო მოვა და თვით ჩვენი საყვარელი მღვდელთ-მთავარი ინებებს, დაისტამბება საყოველთაო საცნობლად.

და მაშინ ვიხილავთ, რაიცა დაფარულა დღეს, ვიხილავთ, რაოდენად მართალნი იყვნენ და არიან ისინი, ვინც ეჭვის თვალით უყურებდნენ განსვენებულის სასკოლო მოღვაწეობას სამეგრელოში და რომელთაც ამ ნიადაგზე არა ერთხელ და ორჯერ გაუმწარეს სული დიდს მოამაგეს, დიდს მკვლევარს და დიდად ღვაწლ შემოსილსა.

ხოლო აწ ვსდუმდეთ და მოწიწებით მოვიდრიკოთ თავი იმ კაცის ნეშტის წინაშე, რომელმაც თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე და ჯანღონე შესწირა ჩვენის წარსულის კვლევა-ძიებას, იღვაწა ღვაწლი კეთილი და, დიდის მიქელ-მოდრეკილის მსგავსად, ნუგეში-კი არავინ ჩვენგანმა არა სცა, მეოხ, შემწე და მფარველ არავინ ექმნა.

წადი შენც, ძმაო თედო, იმათთან, ვინც განვიდა ამ სოფლით სახელოვანი. იქ დაგხვდებიან და დაამშვიდებენ შენს აღელვებულს და გამწარებულს სულს დიდი ილია, რომლის თანამშრომელი დიდხანს იყავი და დიდი აკაკი, რომელმაც საჯაროდ მოიხადა ბოდიში შენს წინაშე ამ რამოდენიმე წლის წინად და შენდობა გთხოვა უსამართლოდ შენის აუგის თქმისათვის.

გრ. ყიფშიძე.

## უკანასკნელი ამბორი

(თ. ჟორდანიას ხსოვნას)

საღამოს შვიდი საათი იყო. აივანზე ვუჯექი მაგიდას და ვმუშაობდი. შემომესმა შორიდამ ნაცნობი ალერსიანი ხმა. შევიხედე და თედო დავინახე თავის ქალით თამარით. მიამა. მივესალმე. გადავეხვიენით ერთმანეთს. მოართვეს სავარძელი. მძიმედ დაბრძანდა. ერთურთის მოკითხვის შემდეგ გავაბით ლაპარაკი.

— რაღაცას მუშაობ. ხომ არ დაგიშალე.

— რა ბრძანებაა. შენ და დამიშალო! პირიქით, ძლიერ მიხარიან, რომ რამდენიმე საათს გავატარებ მეგობართან.

— რაზედ მუშაობ?

— საეკლესიო მუზეუმი გადავიტანეთ ახალ ბინაზე და იმის ანგარიშს ვადგენ.

— გაგებული მაქვს მაგის გადატანის ამბავი. გულით მიხარიან, რომ ჩვენი მუზეუმები ერთად მოთავსდნენ. ახლა საჭიროა, რაც შეიძლება მალე, მაგათთვის აშენდეს ცალკე სახლი და წმინდა ეროვნული ელფერი დაედვას თავის საკუთარ ბინაზე. ჩვენი მდიდარი კულტურული ძეგლები უფრო უზრუნველ ყოფილი იქნებიან, და ქვეყნის მეცნიერებიც უფრო უკეთ დააფასებენ ჩვენს საუნჯეებს და ქართველების ღვაწლს კაცობრიობის წინაშე.

— ეგეთია ყველას აზრიც, რახან ეკატერინე სარაჯიშვილმა გაიმეტა დიდძალი თანხა, მუზეუმებს ბინაც მალე დაედგმება.

— მაგ ქალმა სწორედ აგვაშენა. მაინც ჩვენი ქვეყანა ქალების ქვეყანაა. ნინო, თამარი, ქეთევანი და ახლა ეს ეკატერინე: ყველამ თითო ხანა შეჰქმნა თავის არსებითა და გამჭრიახობით.

— ეგ ყველა კარგი. ახლა მითხარი, როგორ მიდის შენი ნევრასტენიის საქმე.

— ეჰ, რაღა როგორ. ხვალ უნდა დავწვე გედევანიშვილის სამკურნალოში. მუხლები მეკვეთება, ერთი თვალიც მსუსტობს. იმედი მაქვს, დავძლევ; ძნელს სენს არ დავეძლევინები.

— ნუ გეშინიან. მაგ ნევრასტენიით მეც ვიავადე სრული 13 თვე და მოვრჩი.

— ერთი ეს მითხარი, როგორ იწამლე?

— შინაურ წამლობით უფრო. იმ ხანს მნახა ზეიდლიცმა და მითხრა: „ნევრასტენია საშიში ავადმყოფობა არ არის, ოღონდ უნდა ფარეზობა, წმინდა ჰაერი, საჭმელად მაწონი, ყურძენი, მწიფე ხილი, ნელთბილი აბანო, თამბაქოს, ღვინის, ყავის ალკვეთა, გულის სიმხიარულე. ამერიკელები ნევრასტენიას ჰკურნებენ გართობითა და ღიღინით“.

— ეგ რა კარგი მასწავლე. ექიმებმა უკვე გადასწყვიტეს, რომ ელექტრონით ვიწამლო. დავწვები რამდენიმე ხანს და მერე წავალ სოფლად, ვეცდები მოვიწვიო მკურნალად იქაური ჰაერი, მაწონი და ყურძენი.

— ამასთან შენ მეტის-მეტად ბევრს სწევ, ისიც—ჩიბუხს. შენთვის მავნებელია თერმონიც, რომელსაც ეხლა ჩაის ეძახიან.

— ყველაფერს ავიკვეთავ და ჩიბუხსა და თერმონს კი ვერა. ერთ ჯერობაზე თუ 5—6 ჭიქა ცხელი წყალი არ გამოვცალე და ამდენივე ჩიბუხი არ გამოვსუტე, ვერ გავძლებ მარამ ოდესლაც სრული შვიდი წელიწადი არ მოვწიე.

— თამბაქო შხამია და ახუსტებს ნერვებს. უნდა მოიშორო დროებით მაინც.

— ვეცდები... ბარემ ამის წამალიც მასწავლე, როგორ გავიქარვო დარდი.

— რა დარდი?

— აი ის დარდი, რომ ზოგიერთი რაღაც მოღალატეობას მაბრალებს. არ ვიცი, ვის და რას ვუღალატე. ქართულს ენას მე მოვუპოვე გზა სემინარიში, აშორდისტების საქმიანობა მე გავამასხარე. ეს ხომ შენც იცი და ქვეყანამაც. მეგრელები და არა ქართველები! ვინ თქვა. თითქმის მთელი ძველი ქართული მწერლობა სამეგრელოს შვილების ნამუშევარია. თუ იყო მეგრული, რატომ მაშინ არ გააწყეს. სად გაექცევა მეგრელი იქაურ ტაძრებს, ქართულ წარწერებით შემკულმორთულებს, იქაურ სულს, ქართულად აღორძინებულ-აშენებულს საუკუნითგანვე. ამ აზრისა მარად ვყოფილვარ, ეს სიტყვები ხმა-მაღლა მარად მითქვამს და გამივრცელებია სამეგრელოში.

— მაგას მეც გიმოწმებ. სამეგრელო მე მოვიარე 1903 წელს და ყველგან იმასვე მეუბნებოდნენ, რაც ეხლა შენგან მესმის და წინადაც მსმენია არაერთხელ. მაგრამ ეგ დარდად ნუ გაგიხდია. ვის არ ემდურებიან ჩვენში. თვით ილია ჭავჭავაძეც კინაღამ ქვეყნის მოღალატედ არ გამოაცხადეს. ვინც არას აკეთებს, მას არც არას უკიჟინებენ. გამხნევდი და ისევ შენებურად კალამს გაუსვი. ეგ გაგართობს და დაგავიწყებს იმ გაუგებრობით გამოწვეულს სამდურავს.

— გმადლობ დარიგებისთვის. მაგრამ იმ საარაკო დათვის არ იყოს, თავის ჰრილობა ადვილი მოსარჩენია და დაკეწლილი გული კი ძნელად თუ განიკურნება სიკვდილამდე. მაინც ვეცდები დავივიწყო ეს უსიამოვნება.

— უნდა დაივიწყო. მუშაკი მცირეა, სამუშაო ბევრი. აიღე მადლიანი კალამი ხელში და გაჰკარ ძველებურად.

— მეც მაგის მოწადინე ვარ, და მალე შევუდგები საქმეს ისე არ მინდა მოვკვდე, რომ ორიოდე „ისტორიული ოფოფი“ არ ვუძღვნა საქართველოს წარსულის მრუდ დამფასებლებს, დამმახინჯებლებს, აგრეთვე განვაგრძო ქრონიკები და სხ.

— სწორეთ სასიხარულო საქმეს იზამ.

— ვიზამ, მაგრამ ვშიშობ, იმ „ისტ. ოფოფებს“ ვინ დამიბეჭდავს, რომელი რედაქცია გამიღებს კარებს. ყველა პარტიის ხალხია და თუ რამ არ მოეწონათ, ან არ გიბეჭდავენ და ან გიმახინჯებენ შიგა და შიგ.

— ეგ ერთის მხრივ ჩვენივე ბრალია. ახალგაზრდობამ მისდა სასახელოდ მოახერხა და თავისი გამოცემები და აწესა. ჩვენ კი ვერა მოვაგვარეთ-რა და არსად სავანე არა გვაქვს აი. რომ მოვრჩები, ჩვენც გამოვცეთ ჩვენი კრებული. ერთი წიგნიც რომ გამოვცეთ წელიწადში, ეგეც დიდი შემატება იქნება ჩვენი მწერლობისთვის.

— ძალიან კარგი, მაგრამ კრებული კი არა, განვაგრძოთ ისევ შენი „ნაშრომი“. ეს ყველას ემჯობინება...

—

გადავკოცნეთ ერთურთი და გავიყარენით. ეს იყო უკანასკნელი ამბორი ყმაწვილობითგანვე ერთად აღზრდილ და ერთად ჰპაპანწყვეტ გულითად მეგობრებისა და თანამოაზრეებისა.

მ. ჯანაშვილი.

## თედო ჟორდანიას კუბოსთან

პატარა ქართველ ერს ამ ბოლო ხანს თითქოს ბედმა უმუხთლა: ერთი მეორეზე მას ხელიდან ეცლება საუკეთესო შვილები; აი, დღესაც მიწას ვაბარებთ ყველასაგან ცნობილ მუშაკს, ჩვენი საისტორიო მწერლობის მესვეურს, თედო ჟორდანიას. რა აზრისაც უნდა იყოს საზოგადოების ერთი ნაწილი მის შესახებ, ეს კი ცხადია, რომ ჩვენთვის თედოს დაკარგვაც დიდი დანაკლისია. ამ თავად მე აზრად არა მაქვს ყოველ მხრივ შევეხო მის მოღვაწეობას, ჩემი სურვილია ვაუწყო საზოგადოებას მხოლოდ ის, თუ რა ამაგი მიუძღვის მას ჩვენი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში.

ოთხმოციან წლების სუსხიანი ზამთარი ჩვენში მეტად საგრძნობელი შეიქნა: აქ დევნა დაუწყეს ყოველგვარ ეროვნულ იდეალსა და მისწრაფებას. ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენში დაისვა საკითხი სხვათა შორის, პირველდაწყებითი საეკლესიო-სამრევლო შკოლების ყოფნა-არყოფნისა. მაშინდელმა ოლქის მზრუნველმა, კ. პ. იანოვსკიმ, მკაცრი იერიში მიიტანა ამ სკოლებზე, რადგანაც აქ ცოტათი მაინც ბჟუტავდა ლამპარი ეროვნული სულისკვეთებისა. სწორედ ამ დროს გამოვიდა სარბიელზე თედო ჟორდანია, რომელმაც არამც თუ დაიცვა განსაცდელისაგან აღნიშნული სკოლები, დიდის მეხერხებით და მეცადინეობით მან გაატარებინა, აწ უკვე დამარხული, 1885 წლის სასკოლო პროგრამა, რომელმაც ამ სკოლებში ქართული ენა გააბატონა. ასეთივე ღვაწლი მიუძღვის მას სასულიერო ოთხკლასიან სასწავლებელთა წინაშეც; აქაც მისი მეოხებით და თავგამოდებით ფესვი გაიდგა ქართულმა ენამ, თუმცა ასეთი თავგამოდება მას ძვირად დაუჯდა: მან დაჰკარგა სასწავლებლის ზედამხედველობა („სმოტრიტელ“) და დამცირებით გადმოყვანილ იქმნა სემინარიაში უბრალო მასწავლებლად. სემინარიაში, სადაც ჩვენი ეკლესიის მესვეურნი იზრდებიან, ამ დროს ქართული ენა სავალდებულო საგნად როდი ითვლებოდა: თუ ვინმე შევიდოდა ქართულ გაკვეთილებზე, ეს პირადი სურვილის საქმე იყო, თუ კიდე არ შევიდოდა, ამისთვის მადლობის მეტს არას მიიღებდა. თედოს მეცადინეობით ქართული ენა აქ ჯერ სავალდებულო საგნად გახადეს, მერე გაკვეთილების რიცხვის მხრივ გაადიდეს და ბოლოს შტატის კათედრად გარდაქმნეს. ამნაირად, ფორმალურად ქართულ ენას მან უფლება მოუპოვა, ხოლო შინაარსით, პროგრამის მხრივ, ის იმან გამოიყვანა იმ სტადიიდან, როდესაც ქართული ენის გაკვეთილები ხუცური ანბანის სწავლით განისაზღვრებოდა. მან პირველად ჩაუყარა სემინარიაში საფუძველი ისტორიულ გრამმატიკის შესწავლას, მან პირველმა შეაგნებინა თავის მსმენელებს სიდიადე და სიმდიდრე ქართული ხელოვნური მწერლობისა და მასში განსახიერებულ იდეალებისა; დასასრულ, მან პირველმა დაიწყო სემინარიაში კითხვა ქართული საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიის სისტემატიურ კურსებისა. მისი აღტაცებული და აღფრთოვანებული ლექციები დიდს შთაბეჭდილებას ახდენდნენ ჩვენს ახალგაზრდობაზე და მშობლიურ წარსულისადმი სიყვარულს უღვიძებდნენ მას გულში. ბევრი მისი ნაშეგირდალი, მისი წაქეზებით და ზეგავლენით, დღეს ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქართული საისტორიო მწერლობის და კვლევა-ძიების სარბიელზე. ის აკრებინებდა სემინარისტებს ქართულ ზღაპრებს, გამოცანებს სახალხოლე ქსებს და ამით უთვალსწინებდა მათ ხალხის ყოფაცხოვრებას და მისტიურ სულისკვეთებას. მან შეაგნებინა სემინარიის ახალგაზრდობას საარქეოლოგიო ნაშთთა მნიშვნელობა და საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან არა ერთი და ორი ძვირფასი ხელნაწერი და ნივთი მოატანია მის მიერ ნაამაგევ და ხელის საგომანებელ საეკლესიო მუზეუმში. მოსწავლეები მასში ჰპოვებდნენ ნამდვილ გულშემატკივარ და მზრუნველ მამას; სემინარიის საბჭოში ის იყო ერთად-ერთი მედგარი დამცველი მათი, ყველასაგან გათელილ, ინტერესებისა. ყველა ამისთვის ის იძულებული გახადეს სემინარია დაეტოვებია და დააყენეს იმ მოლიპულ გზაზე, რომელმაც მის უმწიკვლო სახელს ბოლო ხანს საზოგადოების ერთი ნაწილის თვალში, დაუმსახურებელი ჩრდილი მიაყენა. ის მოაშორეს სემინარიას, მაგრამ სული მისი მუდამ ცოცხალი იყო სემინარიაში, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ერთი წლის შემდეგ, საიუბილეო დღესასწაულებზე, თედო, როგორც საუკეთესო შვილი, დაუმშვენებდა მას ასი წლის ჭაღარას. მოკვდა თედო, მაგრამ სემინარიის ახალგაზრდობაში მუდამ ცოცხალი იქნება მისი სახელი და ის იდეალები, რომელსაც ის მუდამ ეტრფოდა და ემსახურებოდა სემინარიის კედლებში.

ნამოწაფარი.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო ჟანშიაშვილი




„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები მეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარგადით ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი
(თ. 253—30) დიმიტრი უჩ. ბიბიბერია და ნ. ბ. ქურთაური

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

გამოვიდა და იყიდება
კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში
(ქუთაისში)

რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово“ ნაწ. I, მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული, შედგენილი ს. ოცხელის მიერ. ფ. ყდით 2 აბაზი.

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა“) თანაგრძნობით შეხვდა.

პრაქტიკის მქონი მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „Новое Сслово“-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.

სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова“ имѣетъ несомнѣнныя достоинства, н умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово“ можетъ бытъ признано вполнѣ подходьщимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ“.
(თ.—225—24)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდნენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს
წლ.

ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

„განათლება“-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“,“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзв.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეძველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ჟუმ შოხნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თარითი, ფორეჯი და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.